



ევროკავშირი
საქართველოსთვის

განახლებადი
ენერჯის
რეგულირება
საქართველოში



რა არის დაძმობილები ს პროექტი?

დაძმობილების პროექტი არის ევროკავშირის გრძელვადიანი ინსტრუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საჯარო უწყებებსა და ბენეფიციარი ან პარტნიორი ქვეყნის საჯარო უწყებებს შორის ინსტიტუციონალურ თანამშრომლობას.

დაძმობილების პროექტის მიზანია პარტნიორი ქვეყნის საჯარო უწყების ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება და ამ ქვეყნის კანონმდებლობისა და სტანდარტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ხელშეწყობა, ევროკავშირთან ხელმოწერილი თანამშრომლობის ან ასოცირების ხელშეკრულებების ფარგლებში.

შემდგომი ინფორმაციისათვის დაძმობილების პროექტების შესახებ, იხილეთ:
https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/funding-and-technical-assistance/twinning_en

[დაძმობილები] ს პროექტი

სახელწოდება

განახლებადი ენერჯის რეგულირება საქართველოში



პარტნიორები

ბენეფიციარი

საქართველოს ენერჯეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული
კომისია (სემეკი)

კონსორციუმი

E-Control, ავსტრია

(წამყვანი პარტნიორი წევრი სახელმწიფო)

Bundesnetzagentur, გერმანია

(უმცროსი პარტნიორი წევრი სახელმწიფო)


დაძმობილების პროექტი

განხორციელების პერიოდი

27 თვე, 2021 წლის 1 თებერვლიდან

მთავარი აქტორები

- პროექტის ლიდერი წევრი სახელმწიფოს მხრიდან
დიტმარ პრაინსტორფერი, E-Control
- პროექტის უმცროსი ლიდერი
ივონ გრიოში, BNetzA
- პროექტის ლიდერი ბენეფიციარი ქვეყნის მხრიდან
გიორგი ფანგანი, GNERC
- პროექტის მუდმივი უცხოელი მრჩეველი
შტეფან კაცმანი, E-Control
- პროექტის მუდმივი უცხოელი მრჩეველის კოლეგა
ნინო ბუხნიკაშვილი, სემეკი



პროექტის მოკლე აღწერილობა

ამ დამმობილების პროექტის მიზანია ინსტიტუციონალური ჩარჩოს შემუშავება საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის რეგულირების მიზნით, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად და სემეკის, როგორც დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი უწყების შესაძლებლობების გაძლიერება, ევროკავშირში

არსებული საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე შემუშავებული ინსტრუმენტების და მექანიზმების განვითარების გზით, რაც მოიცავს ქსელის ტარიფის განსაზღვრის მეთოდოლოგიების და ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის სტრატეგიის შემუშავებას და ასევე მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნას მოთხოვნის მხარის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით.

პროექტი შედგებოდა სამი სხვადასხვა თემატური კომპონენტისაგან:

1

ქსელის ტარიფის განსაზღვრის მეთოდოლოგიების შემუშავება

2

რეგულირების ჩარჩოს შემუშავება საბითუმო და საცალო ბაზრებში მოთხოვნის მხარის მონაწილეობის მიზნით

3

განახლებადი ენერჯის ინტეგრირებისა და ენერგოეფექტურობის მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება

პარტნიორი ორგანიზაციები წევრი სახელმწიფოებიდან

E-Control

E-Control არის ელექტროენერჯისა და გაზის მარეგულირებელი უწყება ავსტრიაში და იგი ასრულებს სხვადასხვა ამოცანებს განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის სფეროებში. E-Control ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას ევროკავშირის დამმობილების პროექტებში ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მისი გამოცდილება მოიცავს ენერჯეტიკის მარეგულირებელ უწყებებთან და შესაბამის სამინისტროებთან ერთად განხორციელებულ პროექტებს.

Bundesnetzagentur

Bundesnetzagentur (BNetzA) არის გერმანიის მთავარი უწყება ინფრასტრუქტურის საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ხელს უწყობს კონკურენციას ენერჯეტიკის, ტელეკომუნიკაციების, ფოსტის და რკინიგზის ბაზრებზე, რათა გარანტირებული იყოს ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ქსელების ეფექტურობა. როგორც მომხმარებელთა დაცვის ფუნქციის მქონე უწყება, BNetzA იცავს აღნიშნული ქსელის მომხმარებელთა უფლებებს.

პროექტის სახეები



პროექტის ლიდერი
წევრი სახელმწიფოს
მხრიდან
დიტმარ
პრაინსტორფერი

„ჩემთვის დიდი პატივი იყო ამ
პროექტის ხელმძღვანელობა.

ჩვენ მოვახერხეთ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ტარიფების, მოთხოვნის მხარის მართვისა და განახლებადი ენერჯის საკითხებზე, რომლებიც წარმოადგენენ ენერჯეტიკის რეგულირების ძალიან დინამიურ და გამოწვევებით სავსეთემებს. მაღლობას მოვახსენებ სემეკის ყველა ექსპერტს მათი წვლილისათვის და ვუსურვებ სემეკსა და საქართველოს წარმატებებს.“



პროექტის
ლიდერი
ბენეფიციარი
ქვეყნის მხრიდან
გიორგი ფანგანი

"აღნიშნული პროექტის
ფარგლებში, სემეკი

თანამშრომლობდა ავსტრიელ და გერმანულ ექსპერტებთან. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქსელის ტარიფებს, ბაზრის გახსნას, მოთხოვნის მართვას, განახლებად ენერჯისა და ენერგოეფექტურობას. მიღებული გამოცდილება დაეხმარება საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობის პროცესში. მაღლობას მოვახსენებთ ევროკავშირს მხარდაჭერისათვის.“

პროექტის სახეები



პროექტის უმცროსი
ლიდერი წევრი
სახელმწიფოს მხრიდან
ივონ გრიოში

„ეს დამმობილების პროექტი ჩვენი პირველი პროექტი იყო საქართველოში. იმედი მაქვს,

რომ ევროკავშირი გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას ბაზრის გახსნის პროცესში და მოგვეცემა თანამშრომლობის გაგრძელების შესაძლებლობა.“



დამმობილების პროექტის
მუდმივი უცხოელი მრჩეველი
შტეფან კაცმანი

„დამმობილების პროექტი არის უნიკალური ინსტრუმენტი, რომელსაც მოაქვს აშკარა სარგებელი ყველა მონაწილე

უწყებისათვის. პარტნიორი ორგანიზაციებს ეძლევათ ერთად მუშაობისა და ცოდნის გაუმჯობესების შესაძლებლობა. ჩვენმა ავსტრიელმა და გერმანელმა ექსპერტებმა ასევე მჭიდროდ ითანამშრომლეს დაინტერესებულ მხარეებთან და გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება და ცოდნა.“


პროექტის სახეები



პროექტის მუდმივი
უცხოელი მრჩევლის
კოლეგა
ნინო ბუზნიკაშვილი

„აღნიშნული პროექტის
განხორციელება საინტერესო
პროცესი იყო როგორც ჩვენი

უწყებისათვის, ასევე პირადად ჩემთვის. დარწმუნებული
ვარ, რომ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება და
შემდგომი ცოდნა და უნარები დაგვეხმარება
ენერგეტიკული სექტორის მარეგულირებელი ჩარჩოს
განვითარების პროცესში.“



[პროექტის მოკლე] [შეჯამება]

პროექტის შედეგები და რეკომენდაციები :

კომპონენტი 1

პირველი კომპონენტი შეეხებოდა ქსელურ ტარიფებს შემდეგი მიმართულებით:

ტარიფები მწარმოებლებისათვის: სემეკის მიზანია, რომ მწარმოებლებმა ასევე შეიტანონ წვლილი გადაცემის და განაწილების სისტემების ოპერატორთა ქსელის დანახარჯებში. შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების და ბენეფიციარი ქვეყნის ექსპერტებმა გამოიანგარიშეს ის წილი, რომლის გადახდაც ნებადართულია მწარმოებლების მიერ, ქსელის გამოყენებისათვის, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად და შეიმუშავეს ტარიფების ქსელის გამოყენების მიხედვით ტარიფების გამოანგარიშების მოდელი.

სიმძლავრის ტარიფები: ამჟამად, განაწილების სისტემის ოპერატორის დონეზე არსებობს მხოლოდ მოცულობითი ტარიფები. სიმძლავრის ტარიფებს გააჩნიათ უპირატესობები მოცულობით ტარიფებთან შედარებით და შესაბამისად უფრო სტაბილური ტარიფები) და სემეკი აპირებს, რომ სამომავლოდ

დანერგოს სიმძლავრის ტარიფები. შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების და ბენეფიციარი ქვეყნის ექსპერტებმა დაადგინეს ოპტიმალური ურთიერთკავშირი სიმძლავრის ტარიფებსა და მოცულობით ტარიფებს შორის და შეიმუშავეს მონაცემთა შეგროვების ფორმები განაწილების სისტემის ოპერატორებისათვის.

დამხმარე მომსახურების ტარიფები: მოხდა ევროკავშირის კანონმდებლობის წარდგენა. ამის მიხედვით განხორციელდა დამხმარე მომსახურებების კატეგორიზაცია და დაბალანსების დეტალური განხილვა (როგორ შევამციროთ დაბალანსების ხარჯი). ასევე მოხდა დაბალანსების სხვა მომსახურებების და სამი წევრი სახელმწიფოს ეროვნული მარეგულირებელი უწყებების პრაქტიკაში არსებული მაგალითების განხილვა.

[პროექტის მოკლე] [შეჯამება]

კომპონენტი 2

მეორე კომპონენტი მოიცავდა საბითუმო და საცალო ბაზრების გახსნის და მოქნილობის ინტეგრირების საკითხებს. სხვადასხვა აქტივობების ფარგლებში განხილულ იქნა პროსიუმერებთან, ენერგეტიკულ გაერთიანებებთან, მომხმარებელთა დაცვასთან, მოთხოვნის მართვასთან და ნეტო აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე განხორციელდა ბაზარზე არსებული ბარიერების ანალიზი და სამოქმედო გეგმების შემუშავება.

ექსპერტებმა ავსტრიიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან და ლიეტუვადან წარადგინეს მათ ქვეყნებში ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული გამოცდილება. მოხდა ენერგეტიკულ გაერთიანებებთან დაკავშირებით ავსტრიაში არსებული გამოცდილების წარდგენა, ასევე გერმანიაში არსებული პროსიუმერების და მოთხოვნის მხარის რეაგირებასთან დაკავშირებით ლიეტუვაში არსებული იდეების განხილვა. ჭკვიანი მრიცხველების დანერგვა, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას დენის ქსელში მოქნილობის შესაქმნელად, უკვე წარმოადგენს საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს ნაწილს.

უნდა შეიქმნას წინაპირობები იმისათვის, რომ გაერთიანებებმა, კომპანიებმა და მოქალაქეებმა შეძლონ აქტიურად მონაწილეობა ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე, ქვეყნის მასშტაბით უნდა არსებობდეს ტექნიკური პირობები, როგორცაა ჭკვიანი მრიცხველები, რათა სწრაფად მოხდეს ელექტროენერჯის რაოდენობების გამიჯვნა და დარიცხვა.

რეკომენდებულია ჭკვიანი მრიცხველების დანერგვაზე ყურადღების გამახვილება. მოთხოვნის მართვის ნაწილში, პირველი ეტაპი იქნებოდა კომპანიებთან ერთად იმის განხილვა, არსებობს თუ არა მათი ტექნიკური პროცესების ფარგლებში ელექტროენერჯის შესყიდვის პროცესში მოქნილობის პოტენციალი, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ მოქნილობის სახით, ელექტროენერჯის ბაზარზე ან ელექტროენერჯის ქსელში. ასევე უნდა განვიხილოთ საქართველოში ენერგეტიკული გაერთიანებების დანერგვის საკითხი. შესაძლოა სასარგებლო იყოს ელექტრომობილების დამტენი ინფრასტრუქტურისათვის განკუთვნილი ჩარჩოს შემუშავება.

[პროექტის მოკლე] [შეჯამება]

კომპონენტი 3

მესამე კომპონენტი ყურადღებას ამახვილებდა განახლებად ენერჯიაზე და ენერგოეფექტურობაზე. პროექტის მიზნების გარდა, აღნიშნული საკითხების აქტუალურობა გაიზარდა ბოლო თვეებში მიმდინარე ენერგეტიკული კრიზისის შედეგად. ევროპულ დონეზე განხორციელდა მრავალი ქმედება, ღონისძიება და სტრატეგია იმისათვის, რომ გაზრდილიყო განახლებადი ენერჯიის წყაროების წილი და დაჩქარებულიყო ენერგოეფექტურობა ყველა სექტორში. მოსალოდნელია, რომ 2023 წელს ენერგოეფექტურობის შესახებ დირექტივის და განახლებადი ენერჯიის წყაროების შესახებ დირექტივის განახლებული ვერსიები განსაზღვრავენ ახალ იურიდიულ ჩარჩოებს. კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა ევროპული კანონმდებლობის, კონკრეტული ქვეყნების მაგალითების საუკეთესო პრაქტიკის განხილვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდა შესაბამისი დირექტივების განხორციელება ევროპის მასშტაბით. მოხდა ამ მაგალითების შედარება ბენეფიციარ ქვეყანაში არსებულ სიტუაციასთან და იურიდიულ ჩარჩოსთან. კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა იმ კონკრეტული საკითხების დეტალურ ანალიზი, რომლებიც წარმოადგენენ ახალ და მომავალზე ორიენტირებულ პროცესებს.

კომპონენტი ასევე მოიცავდა სტრატეგიულ ელემენტებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოახდინოს განვითარებულმა მარეგულირებელმა უწყებამ რეაგირება ენერჯიის ცვალებადი ბაზრების მოთხოვნებზე. ამ მიზნით მოხდა სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განხილვა და შეთავაზება.

წევრი სახელმწიფოებისა და ბენეფიციარი ქვეყნის ექსპერტებს შორის თანამშრომლობის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმა ახლო მომავლისათვის: ენერგეტიკული ტრანსფორმაციის პროცესი გულისხმობს ახალ ტექნოლოგიებს, ახალ მომსახურებებს, ჭკვიან ტექნოლოგიებს. მარეგულირებელმა უწყებამ უნდა მოახდინოს რეაგირება ამ პროცესებზე და შექმნას გარემო იმისათვის, რომ ეს ტექნოლოგიები იყოს ეფექტური ენერგეტიკულ ბაზრებზე და ხელი შეეწყოს ენერგეტიკული სისტემის სწრაფ და უსაფრთხო ცვლილებას. მარეგულირებელმა უწყებამ უნდა შეიმუშაოს სტრატეგიები ამ პროცესების მართვის მიზნით, რათა შეიქმნას აუცილებელი შიდა რესურსები და მოხდეს მიმზიდველი გრძელვადიანი განვითარების გარანტირება.

[პროექტის მოკლე] [შეჯამება]

პროექტის მსვლელობისას, პარტნიორების მიერ შეთავაზებული იქნა შემდეგი სამომავლო ქმედებები:

პირველი კომპონენტის ფარგლებში, სამომავლო ქმედებები შეიძლება მოიცავდეს ზემოთ მოცემული რეკომენდაციების შესრულებას. დამხმარე საქმიანობისათვის, განსაზღვრული იქნება რამდენიმე სამომავლო ქმედება: ჯერ კიდევ განუხორციელებელი ნაწილების განხორციელება და განხორციელებული ნაწილების გაუმჯობესება, იმგვარად, რომ შემცირდეს ქსელში ამ მომსახურებების ხარჯები.

მეორე კომპონენტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს მუშაობა იმ სამომავლო პროცესებზე, რომლებიც დაკავშირებულია ბაზრის გახსნასთან და მოქნილობასთან ელექტროენერჯის სექტორში. შესაძლოა განვიხილოთ ელექტრომობილობა, რომელიც აჩენს გარკვეულ გამოწვევებს ელექტროენერჯის მიწოდების კუთხით, მისი დამატებით მოთხოვნების გამო, მაგრამ ასევე გააჩნია დადებითი მხარეებიც, დამატებითი მოქნილობის გამო, რომელიც მიიღწევა დატენვის გონივრული კონტროლის გზით. იგივე ეხება ელექტრიფიკაციას გათბობის სექტორში. აქაც,

ელექტროენერჯიაზე მზარდი მოთხოვნა შესაძლოა წარმოადგენდეს გამოწვევას, მაგრამ მოთხოვნის გონივრული კონტროლის გზით შესაძლოა ასევე გაჩნდეს ახალი შესაძლებლობები მოქნილობისთვის. აქცენტი უნდა გაკეთდეს ჭკვიანი მრიცხველების დანერგვის პროცესის გაგრძელებაზე, რომელიც წარმოადგენს ტექნიკურ საფუძველს თითქმის ყველა მოქნილი მოდელის აღრიცხვისა და დარიცხვისათვის.


საყოფაცხოვრებო მომხმარებლების კუთხით, შესაძლოა ღირდეს ენერგოეფექტურობის პოტენციალის კვლევისა და ხელშეწყობის ღონისძიებების განხილვა, რაც სავარაუდოდ ხელს შეუწყობს ენერგეტიკულ გაერთიანებებში ადგილობრივი ენერჯის გენერაციის პროექტების განხორციელებას.

მესამე კომპონენტის ფარგლებში, რეკომენდებულია ევროპული ღირეტივების განხორციელება და ენერგეტიკული ბაზრის განვითარება საიმედო, უსაფრთხო, ეფექტური და განახლებადი სისტემის მიმართულებით.

[პროექტის მოკლე] [შეჯამება]

რეზიუმე

დამმობილების პროექტი გულისხმობს ერთად მუშაობას ყოველდღიურ რეჟიმში, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას და გრძელვადიანი ურთიერთობების განვითარებას პროექტის განმახორციელებელ უწყებებს შორის. მჭიდრო თანამშრომლობის გზით, ბენეფიციარი ორგანიზაცია სწავლობს არა მხოლოდ ტექნიკურ ასპექტებს, არამედ ასევე ეცნობა კარგი მმართველობის და მუშაობის პრაქტიკას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან. თანამშრომლობის მსგავსი ფორმატი ასევე საშუალებას აძლევს ბენეფიციარ ორგანიზაციას, რომ იმუშაოს თანაბარ პირობებში სხვა ქვეყნების ექსპერტებთან ერთად და განავითაროს საკუთარი უნარ-ჩვევები.





ევროკავშირი
საქართველოსთვის



Bundesnetzagentur



DISCLAIMER

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია E-Control და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.